

მხენარეთა და სხოველთა  
ახალი ჯიშების დაცვის  
ოფიციალური  
**ბიულეტენი**

**O F F I C I A L  
B U L L E T I N**

**FOR THE PROTECTION  
OF NEW VARIETIES OF PLANTS  
AND BREEDS OF ANIMALS**

**2(19)**

**ბიულეტენის გამოქვეყნების თარიღი  
THE DATE OF PUBLICATION  
2014 04 28**

**ბიულეტენში გამოქვეყნებულია  
რეგისტრირებული მცენარის ახალი ჯიშები**

**THE PUBLICATION IN THE BULLETIN  
REGISTERED NEW VARIETIES OF PLANTS  
№№ 045-050**

ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის შესახებ მონაცემების ოფიციალურ ბიულეტენში გამოქვეყნებიდან 3 თვის განმავლობაში ნებისმიერ პირს აქვს უფლება, საქპატენტს წარუდგინოს წერილობითი შეტყობინება; თუ ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიში არ აკმაყოფილებს დაცვისუნარიანობის კრიტერიუმებს; თუ ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის აღწერილობა არ არის საკმარისი ამ ჯიშის შესაფასებლად; თუ ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის აღწერილობაში შეტანილია ყალბი მონაცემები; თუ განაცხადში აღწერილ ცხოველის ან მცენარის ახალ ჯიშზე პრიორიტეტის მოთხოვნა სხვა ქვეყანაში ცხოველის ან მცენარის ამ ჯიშზე წარდგენილი განაცხადის მიხედვით საფუძველსა მოკლებულია.

Any person shall be authorized to present to Sakpatenti a written objection within 3 months from the date of publication the new breeds of animals or new varieties of plants data in the official bulletin: in case if the new breeds of animals or new varieties of plants does not meet the requirements of the criteria of protectability; if description of the new breeds of animals or new varieties of plants does not convey the complete impression for evaluation of the new breeds of animals or new varieties of plants; if the data given in the application are false; if the priority claimed for the new breeds of animals or new varieties of plants described in the application based on the application filed in other country is groundless.

**განაცხადის ტიპის ასოითი აღნიშვნა  
LETTER INDICATION FOR APPLICATION TYPE**

P – მცენარის ჯიშის განაცხადის აღნიშვნა (Plant)  
P – Indication of applications for plant varieties (Plant)

- (10) P 0000 000 A მცენარის ჯიშის გამოქვეყნების ნომერი (I პუბლიკაცია)  
Number of published application for plant varieties (I publication)
- (11) P 0000 000 B მცენარის ჯიშის მოწმობის ნომერი (II პუბლიკაცია)  
Number of Certificate for plant varieties (II publication)
- (21) P 0000 000000 მცენარის ჯიშის განაცხადის ნომერი  
Serial number of application for plant varieties

A – ცხოველის ჯიშის განაცხადის აღნიშვნა (Animal)  
A – Indication of applications for animal breeds (Animal)

- (10) A 0000 000 A ცხოველის ახალი ჯიშის გამოქვეყნების ნომერი (I პუბლიკაცია)  
Number of published application for new animal breeds (I publication)
- (11) A 0000 000 B ცხოველის ახალი ჯიშის მოწმობის ნომერი (II პუბლიკაცია)  
Number of Certificate for new animal breeds (II publication)
- (21) A 0000 000000 ცხოველის ახალი ჯიშის განაცხადის ნომერი  
Serial number of application for new animal breeds

# შ ი ნ ა ა რ ს ი

## მცენარეთა ახალი ჯიშები

### რეგისტრირებული მცენარეთა ახალი ჯიშები

▪ თხილი „იმერული“ .....	4
▪ თხილი „იბერია“ .....	10
▪ თხილი „ლეგი“ .....	16
▪ ჩვეულებრივი ჯაქალდი „ნუგო“ .....	22
▪ ჩვეულებრივი ჯაქალდი „ანანო“ .....	28
▪ შვრია „აივორი“ .....	34

## CONTENTS

### NEW VARIETIES OF PLANTS

### REGISTERED NEW VARIETIES OF PLANTS

▪ HAZELNUT "IMERULI" .....	5
▪ HAZELNUT "IBERIA " .....	11
▪ HAZELNUT "LEGI" .....	17
▪ WALNUTS "NUGO" .....	23
▪ WALNUTS "ANANO " .....	29
▪ SPRING OAT "IVORY " .....	35

---

## რეგისტრირებული მცენარის ახალი ჯიშები

მოწმობის ნომერი:	P 2014 045 B
ბანაცხადის გამოქვეყნების ნომერი:	P 2013 070 A
ბანაცხადის ნომერი:	P 2012 070
ბანაცხადის წარდგენის თარიღი:	2013 09 13
თარიღი, საიდანაც იწყება უფლებების მოქმედება:	2014 04 28
ბანაცხადის მონაცემების გამოქვეყნების თარიღი და ბიულეტენის ნომერი (I კუბლიკაცია):	2013 11 14 №3
დარეგისტრირებული მცენარის ჯიშის გამოქვეყნების თარიღი და ბიულეტენის ნომერი (II კუბლიკაცია):	2014 04 28 №2

### სელექციონერის სახელი, მისამართი და ქვეყნის კოდი:

ნადეჟა მიროტაძე

თბილისი, ვაჟა-ფშაველას მე-6 კვ. 38/11 (GE);

იუზა ვასაძე

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 11 (GE);

მაია მიროტაძე

თბილისი დ/დიდოში III მ/რ, 20 კორპ., ბ. 20 (GE)

### მცენარის ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:

თხილი            *Corylus pontica*

### მცენარის ახალი ჯიშის დასახელება: იმერული

#### მცენარის ახალი ჯიშის მოკლე დახასიათება:

ჯიში „იმერული“ ძლიერი ზრდისაა (2,5-3 მ.) კომპაქტური პირამიდული ფორმის ვარჯით. მცირე რაოდენობით ივითარებს ფესვის ყელიდან ამონაყრებს. ყვავილობს დეკემბრის მეორე ნახევრიდან თებერვლის ბოლომდე, თანაყვავილედში 3-4 ნაყოფია, იშვიათად –1-2; საბურველი ნაყოფზე გრძელია, გადაშლილი დაკბილული კიდით, ნაყოფი საბურველიდან ადვილად ვარდება.

სიმწიფის პერიოდია აგვისტოს მეორე ნახევარი. ნაყოფი მსხვილი მრგვალი ფორმისაა, სიდიდე 23x22x21 მმ., ნაჭუჭი საშუალო სიმაგრის, გულის გამოსავლიანობა 53-55%; ახასიათებს მამრობითი (მჭადა) ყვავილების ინტენსიური განვითარება, ხანგრძლივი ყვავილობა, ყოველწლიური რეგულარული მაღალმოსავლიანობა, საშუალოდ ერთი ძირის (ბუჩქი) მოსავალი 6-7 კგ.-ია. შედარებით გამძლეა მავნებელ-დაავადებების და გარემოს არახელსაყრელი პირობების მიმართ. მიზანშეწონილია სამრეწველო დანიშნულებით გაშენდეს იმერეთის, გურიისა და კახეთის რეგიონში.

**REGISTERED NEW PLANT VARIETIES**

<b>NUMBER OF CERTIFICATE:</b>	P 2014 045 B
<b>NUMBER OF PUBLICATION FOR APPLICATION:</b>	P 2013 070 A
<b>SERIAL NUMBER OF APPLICATION:</b>	P 2012 070
<b>DATE OF FILING OF THE APPLICATION:</b>	2013 09 13
<b>DATE FROM WHICH CERTIFICATE MAY HAVE RIGHT:</b>	2014 04 28
<b>DATE OF PUBLICATION OF APPLICATION FOR PLANT VARIETIES AND THE NUMBER OF BULLETIN (I PUBLICATION):</b>	2013 11 14 №3
<b>DATE OF PUBLICATION OF REGISTERED PLANT VARIETIES AND THE NUMBER OF BULLETIN (II PUBLICATION):</b>	2014 04 28 №2

**NAME, SURNAME OF BREEDER, ADDRESS AND COUNTRY CODE:**

Nadezhna Mirotadze

Vaja-Pshavelas VI kv. 38/11, Tbilisi (GE);

Iuza Vasadze

Ilia Chavchavadzis Gamz. 11, Tbilisi (GE);

Maia Mirotadze

Didi Digomi, III mkr. korp. 20, b. 20, Tbilisi (GE)

**GENERATION AND SPECIES OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT'S LANGUAGE AND IN LATIN:** Hazelnut                      Corylus pontica

**NAME OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT'S LANGUAGE:** IMERULI

**BRIEF DESCRIPTION OF PLANT VARIETIES**

The variety "Imeruli" is strong growing (2,5-3,0 m.) with compact and pyramid-shape crown. It develops roots and spear cervix in a small amount. Blows from the second half of December to February. There are 3-4 fruits in the bract, rarely – 1-2; cover is longer than fruit, opened from crenate edge. The fruit is easily falls from the cover. Ripes in the second half of August. Fruit is big, round-shape, size – 23x22x21 mm. shell has average fortress, and is thin. Core productivity is 53-55%. Male (ament) flowers characterized with intensive development and long blowing. Annual harvest is regular. Harvest of one root (bush) on average gives up to 6-7 kg hazelnut. It is relatively resistant against vermin-diseases and adverse conditions of environment. It is recommended to be cultivated for Industrial function in the regions of Imereti, Guria and Kakheti.

## ჯ ი შ ი ს ა ღ ჯ ე რ ი ლ ო ბ ა

**I. კულტურა:** თხილი *Corylus pontica*  
(ქართული სახელი) (ლათინური სახელი)

### **II. სელექციონერი:**

ნადეჟნა მიროტაძე

თბილისი, ვაჟა-ფშაველას VI კვ. 38/11 (GE);

იუზა ვასაძე

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 11 (GE);

მაია მიროტაძე

თბილისი, დიდი დიღომი III მ/რ, 20 კორპ., ბ. 20 (GE)

### **III. ჯიშის დასახელება:** იმერული

### **IV. ინფორმაცია ჯიშის გამომავლის შესახებ:**

ჯიში შერჩეულია ხალხური სელექციის შედეგად მიღებული გენოფონდიდან.

### **V. ტესტირების წლები:**

2002-2012 წლებში ჩატარებულია კვლევა ფერმერულ მეურნეობებში არსებულ ნარგაობებში. შიდასაინსტიტუტო სადგურსტაციო კომისიის მიერ მოწონებული იქნა და რეკომენდებულია სამრეწველოდ გაშენებისათვის.

### **VI. სხვა ინფორმაცია**

ჯიში „იმერული“ მაღალი სამეურნეო-ტექნოლოგიური მაჩვენებლებით ხასიათდება და მიზანშეწონილია სამრეწველოდ გაშენდეს იმერეთის, გურიის და კახეთის რეგიონში.

### **VII. ჯიშის ნიშან-თვისებები**

მცენარის ზრდა – ძლიერი (7)

მცენარის კაბიტუსი – აღმართული (3)

ნაზარდის სიხშირე – ძლიერი (7)

- ამონაყარი ფესვის ყელიდან – სუსტი (3)
- ერთწლიან ნახარდზე ფოთლების სისშირე – ძლიერი (7)
- მამრობითი (მჭადა) ყვავილები – საშუალო (5)
- ბუტკო: ფერი – ღია ვარდისფერი (3)
- მამრობითი ყვავილების ყვავილობის დრო – საშუალო (5)
- მდედრობითი ყვავილების ყვავილობის დროის შედარება
- მამრობითი ყვავილების ყვავილობის დროსთან – ერთდროულად (2)
- ფოთლის ფირფიტა: ფორმა – მრგვალი (3)
- ფოთლის ფირფიტა: ზომა – დიდი (7)
- ფოთლის ფირფიტა: შებუსვა ქვედა მხარეზე – საშუალო (5)
- ყუნწი: სიგრძე – მოკლე (3)
- ყუნწი: შებუსულობა – საშუალო (5)
- საბურველის სიგრძის შედარება ნაყოფის სიგრძესთან – გრძელი (7)
- საბურველი: დაკბილვა – ძლიერი (7)
- საბურველი: შებუსვა – არის (9)
- საბურველი: შებუსვის სისშირე – საშუალო (5)
- ბუჩქი: დომინირებული ტოტების რიცხვი – 3-4 (4)
- ნაყოფი: ზომა – დიდი (7)
- ნაყოფი: ფორმა – მრგვალი (1)
- ნაყოფი: ფერი – ყავისფერი (3)
- ნაჭუჭზე ზოლების რაოდენობა – მცირე (3)
- ნაყოფი: წვერი – საშუალოდ ამობურცველი (5)
- ნაყოფი: ორგულიანი – არ არის (1)
- გული: ზომა – დიდი (7)
- გული: ფორმა – მრგვალი (1)
- გული: გვერდითი ღარი – არ არის (1)
- შემოსვლის დრო – საშუალოდან საგვიანომდე (6)
- საბურველის შეჭიდულობა ნაყოფზე – სუსტი (3)
- გულის გამოსავლიანობა (წონით) – ძალიან მაღალი (9)
- ფოთოლცვენის დრო – ძალიან გვიან (9)

**VIII. ღამატებითი ინფორმაცია**

გამძლეა გარემოს არახელსაყრელი პირობებისა და მავნებელ-დაავადებების მიმართ. ახასიათებს რეგულარული მაღალმოსავლიანობა. ნაყოფის მაღალი კვებითი ღირებულება განაპირობებს მრავალმხრივ გამოყენებას.

**IX. ჯიშის გამოყენების მიმართულება**

მიზანშეწონილია სამრეწველო დანიშნულების ბაღების გაშენება იმერეთის, გურიის და კახეთის რეგიონში.

**მსბავსი ჯიშები და მათგან განსხვავებულობა**

მსბავსი ჯიშის დასახელება	ნიშანი რომლითაც განაცხადის ჯიში განსხვავდება მსბავსისაგან	ჯიშ-მტალონი	
		მსბავსი ჯიში	კანდიდატი ჯიში
გულშიშველა	ამონაყარი ფესვის ყელიდან ზრდის სიძლიერე მამრობითი ყვავილების განვითარება ნაყოფის ზომა ნაყოფის ფორმა	ძალიან ძლიერი საშუალო სუსტი საშუალო ოვალური	ძალიან სუსტი ძლიერი ინტენსიური დიდი მრგვალი





მოწმობის ნომერი:	P 2014 046 B
ბანაცხადის გამოქვეყნების ნომერი:	P 2013 071 A
ბანაცხადის ნომერი:	P 2012 071
ბანაცხადის წარდგენის თარიღი:	2013 09 13
თარიღი, საიდანაც იწყება უფლებების მოქმედება:	2014 04 28
ბანაცხადის მონაცემების გამოქვეყნების თარიღი და ბიულეტენის ნომერი (I კუბლიკაცია):	2013 11 14 №3
ღარეგისტრირებული მცენარის ჯიშის გამოქვეყნების თარიღი და ბიულეტენის ნომერი (II კუბლიკაცია):	2014 04 28 №2

**სელექციონერის სახელი, მისამართი და ქვეყნის კოდი:**

ნადეჟდა მიროტაძე

თბილისი, ვაჟა-ფშაველას მე-6 კვ. 38/11 (GE);

იუზა ვასაძე

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 11 (GE);

მაია მიროტაძე

თბილისი დ/დიღომი III მ/რ, 20 კორპ., ბ. 20 (GE)

**მცენარის ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:**

თხილი           Corylus colurna

**მცენარის ახალი ჯიშის დასახელება: იბერია**

**მცენარის ახალი ჯიშის მოკლე დასახელება:**

ჯიში „იბერია“ ძლიერი ზრდისაა, პირამიდული ფორმის ვარჯით, ხე 5-27 მეტრამდე იზრდება, დიამეტრით 0,2-1 მ. გვხვდება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში ზღვის დონიდან 400-1700 მ. სიმაღლეზე. ფესვის ყელიდან ამონაყარს არ იხვითარებს, მრავლდება თესლით და მყნობით. ყვავილობის პერიოდია დეკემბრიდან იანვრის ბოლომდე. ფოთოლი – ოვალური, წვერში წამახვილებული, ორმაგად დაკბილული. საბურველი – შებუსული, ნაყოფზე 2-ჯერ გრძელი, მილისებური ძლიერ დაკბილული. ნაყოფი საბურველიდან ადვილად ვარდება.

სიმწიფის პერიოდი: აგვისტოს ბოლო სექტემბრის პირველი ნახევარი. ნაყოფი ოვალურია, შებრტყელებული გვერდებით, ნაჭუჭი სქელი და ადვილად მტვრევადი. გულის გამოსავლიანობა 45%, ნაყოფის სიდიდე 19x17x6 მმ., საშუალოდ ერთი ძირის მოსავალი 35-45 კგ.-ია. გამძლეა მავნებელ-დაავადებების და გარემოს არახელსაყრელი პირობების მიმართ.

**NUMBER OF CERTIFICATE:** P 2014 046 B  
**NUMBER OF PUBLICATION FOR APPLICATION:** P 2013 071 A  
**SERIAL NUMBER OF APPLICATION:** P 2012 071  
**DATE OF FILING OF THE APPLICATION:** 2013 09 13  
**DATE FROM WHICH CERTIFICATE MAY HAVE RIGHT:** 2014 04 28  
**DATE OF PUBLICATION OF APPLICATION FOR PLANT VARIETIES  
 AND THE NUMBER OF BULLETIN (I PUBLICATION):** 2013 11 14 №3  
**DATE OF PUBLICATION OF REGISTERED PLANT VARIETIES AND  
 THE NUMBER OF BULLETIN (II PUBLICATION):** 2014 04 28 №2

**NAME, SURNAME OF BREEDER, ADDRESS AND COUNTRY CODE:**

Nadezhna Mirotadze

Vaja-Pshavelas VI kv. 38/11, Tbilisi (GE);

Iuza Vasadze

Ilia Chavchavadzis Gamz.11, Tbilisi (GE);

Maia Mirotadze

Didi Digomi, III mkr., korp. 20, b. 20, Tbilisi (GE)

**GENERATION AND SPECIES OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT'S  
 LANGUAGE AND IN LATIN:** Hazelnut Corylus colurna

**NAME OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT'S LANGUAGE:** IBERIA

**BRIEF DESCRIPTION OF PLANT VARIETIES**

The variety "Iberia" is strong growing, pyramid-shaped canopy, tree grows 5-27 m., diameter 0,2-1 m. Found in both the Eastern and the Western Georgia, at an altitude of 400-1700 m. It do not develops spear cervix, multiplied by seeds, grafting. Flowering period: from December until the end of January.

Foliage is oval, the tip are sharp and double-toothed. Cover is twice longer then fruit, and the fruit falls from cover. Ripening period of the first half of August till September. Fruit is oval, has thick shell and easily braking. Core productivity 45%, fruit size is 19x17x16 mm, Harvest from a root averagely gives 35-45 kg hazelnut. It is relatively resistant against vermin-diseases and adverse conditions of environment.

## ჯ ი შ ი ს ა ღ ჯ ე რ ი ლ ო ბ ა

**I. კულტურა:** თხილი *Corylus colurna*  
(ქართული სახელი) (ლათინური სახელი)

### II. სელექციონერი:

ნადეჟნა მიროტაძე

თბილისი, ვაჟა-ფშაველას VI კვ. 38/11 (GE);

იუზა ვასაძე

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 11 (GE);

მაია მიროტაძე

თბილისი, დიდი დიდოში III მ/რ, მე-20 კორპ., ბ. 20 (GE)

### III. ჯიშის დასახელება: იბერია

### IV. ინფორმაცია ჯიშის გამომყვანის შესახებ:

ჯიში შერჩეულია იმერეთში ხალხური სელექციის შედეგად მიღებული გენოფონდიდან.

### V. ტესტირების წლები:

2003-2011 წლებში მრავალჯერადი ექპედიციის საფუძველზე ჩატარებული კვლევა აღრიცხულ მცენარეებზე. ბიოლოგიური, სამეურნეო-ტექნოლოგიური მახასიათებლების შესწავლილი იქნა მეთოდის შესაბამისად.

### VI. სხვა ინფორმაცია

ჯიში „იბერია“ ხასიათდება ძლიერი ზრდით, ხის მაგვარი ფორმით, ფესვის ყელიდან ამონაყარს არ იწვეთარებს. აქვს გამორჩეული ფორმის ნაყოფი, რომლის გატეხვისას გულის კანი ნაჭუჭზე რჩება. მიზანშეწონილია მისი გამოყენება თხილის სხვა ჯიშებისთვის საძირედ.

### VII. ჯიშის ნიშან-თვისებები

მცენარის ზრდა – ძლიერი (7)

მცენარის ჰაბიტუსი – ძალიან აღმართული (1)

ნაზარდის სიხშირე – საშუალო (5)

ამონაყარი ფესვის ყელიდან – არ აქვს (1)

- ერთწლიან ნაზარდზე ფოთლების სისშირე – საშუალო (5)  
მამრობითი (მჭადა) ყვავილები – გრძელი (7)  
ბუტკო: ფერი – წითელი (2)  
მამრობითი ყვავილების ყვავილობის დრო – საშუალო (5)  
მდედრობითი ყვავილების ყვავილობის დრო – საშუალო (5)  
მდედრობითი ყვავილების ყვავილობის დროის შედარება  
მამრობითი ყვავილების ყვავილობის დროსთან – ერთდროულად (2)  
ფოთლის ფირფიტა: ფორმა – ელიფსური (1)  
ფოთლის ფირფიტა: ზომა – საშუალო (5)  
ფოთლის ფირფიტა: შებუსვა ქვედა მხარეზე – სუსტი (3)  
ყუნწი: სიგრძე – გრძელი (7)  
ყუნწი: შებუსულობა – სუსტი (3)  
საბურველის სიგრძის შედარება ნაყოფის სიგრძესთან – გრძელი (7)  
საბურველი: დაკბილება – ძლიერი (7)  
საბურველი: შებუსვა – არის (9)  
შებუსვის სისშირე – ძლიერი (7)  
დომინირებული ტოტების რიცხვი – 1 (1)  
ნაყოფი: ზომა – პატარა (3)  
ნაყოფი: ფორმა – ოვალური (3)  
ნაყოფი: ფერი – ღია ყავისფერი (2)  
ნაჭუჭზე ზოლების რაოდენობა – მცირე (3)  
ნაყოფი: ორგულიანი – არ არის (1)  
გული: ზომა – პატარა (3)  
გული: ფორმა – ოვალური (2)  
გული: გვერდითი ღარი – არ არის (1)  
შემოსვლის დრო – საგვიანო (7)  
საბურველის შეჭიდულობა ნაყოფზე – ძლიერი (7)  
გულის გამოსავლიანობა (წონით) – საშუალო (5)  
ფოთოლცვენის დრო – გვიან (7)

**VIII. დამატებითი ინფორმაცია**


გამძლეა გარემოს არახელსაყრელი პირობებისა და მავნებელ-დაავადებების მიმართ.

**IX. ჯიშის გამოყენების მიმართულება**

მიზანშეწონილია ბაღების გაშენება საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში.

**მსბავსი ჯიშები და მათთან ბანსხვავებულობა**

მსბავსი ჯიშის დასახელება	ნიშანი რომლითაც ბანაცხადის ჯიშო ბანსხვავდება მსბავსისაგან	ჯიშ-ეტალონი	
		მსბავსი ჯიშო	კანდიდატი ჯიშო
გულშიშველა	ამონაყარი ფესვის ყელიდან ზრდის სიძლიერე მამრობითი ყვავილების განვითარება ნაყოფის ზომა ნაყოფის ფორმა	ძალიან ძლიერი საშუალო სუსტი საშუალო ოვალური	ძალიან სუსტი ძლიერი ინტენსიური დიდი მრგვალი



მოწმობის ნომერი:	P 2014 047 B
ბანაცხადის გამოქვეყნების ნომერი:	P 2013 072 A
ბანაცხადის ნომერი:	P 2012 072
ბანაცხადის წარდგენის თარიღი:	2013 09 13
თარიღი, საიდანაც იწყება უფლებების მოქმედება:	2014 04 28
ბანაცხადის მონაცემების გამოქვეყნების თარიღი და ბიულეტენის ნომერი (I კუბლიკაცია):	2013 11 14 №3
დარეგისტრირებული მცენარის ჯიშის გამოქვეყნების თარიღი და ბიულეტენის ნომერი (II კუბლიკაცია):	2014 04 28 №2

**სელექციონერის სახელი, მისამართი და ქვეყნის კოდი:**

ნადეჟა მიროტაძე

თბილისი, ვაჟა-ფშაველას VI კვ., 38/11 (GE);

იუზა ვასაძე

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 11 (GE);

მაია მიროტაძე

თბილისი, დიდი დიდობი III მ/რ, კორპ. 20, ბ. 20 (GE)

**მცენარის ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:**

თხილი *Corylus pontica*

**მცენარის ახალი ჯიშის დასახელება: ლეპი**

**მცენარის ახალი ჯიშის მოკლე დასახსიანობა:**

ჯიში „ლეგი“ საშუალო ზრდისაა (2,0-2,2 მ.), ხასიათდება გადაშლილი ვარჯით და ინტენსიური დატოტვით. მცირე რაოდენობით ივითარებს ფესვის ყელიდან ამონაყრებს. ყვავილობს დეკემბრიდან თებერვლამდე. ახასიათებს მამრობითი (მჭადა) ყვავილების ინტენსიური განვითარება და ხანგრძლივი ყვავილობა. ნაყოფი ოდნავ წაგრძელებულია, გამოკვეთილი წვეტით, მომწიფებისას ადვილად ვარდება საბურველიდან. საბურველი ნაყოფზე მოკლეა და ძლიერ დაკბილული. ნაყოფის სიდიდე 21x19x18 მმ.-ია, ღია ყავისფერი ზოლებით.

სიმწიფის პერიოდი: აგვისტოს ბოლო. ნაჭუჭი საშუალო სიმაგრისაა, ადვილად მტვრევადი. გულის გამოსავლიანობა 53%-ია. შედარებით გამძლეა მავნებელ-დაავადებების და გარემოს არახელსაყრელი პირობების მიმართ. მიზანშეწონილია გაშენდეს დამამტვრეიანებელ ჯიშად სამრეწველო ბაღებში იმერეთის, გურიისა და კახეთის რეგიონებში.



**NUMBER OF CERTIFICATE:** P 2014 047 B  
**NUMBER OF PUBLICATION FOR APPLICATION:** P 2013 072 A  
**SERIAL NUMBER OF APPLICATION:** P 2012 072  
**DATE OF FILING OF THE APPLICATION:** 2013 09 13  
**DATE FROM WHICH CERTIFICATE MAY HAVE RIGHT:** 2014 04 28  
**DATE OF PUBLICATION OF APPLICATION FOR PLANT VARIETIES  
 AND THE NUMBER OF BULLETIN (I PUBLICATION):** 2013 11 14 №3  
**DATE OF PUBLICATION OF REGISTERED PLANT VARIETIES  
 AND THE NUMBER OF BULLETIN (II PUBLICATION):** 2014 04 28 №2

**NAME, SURNAME OF BREEDER, ADDRESS AND COUNTRY CODE:**

Nadezhna Mirotadze

Vaja-Pshavelas VI kv. 38/11, Tbilisi (GE);

Iuza Vasadze

Ilia Chavchavadzis Gamz.11, Tbilisi (GE);

Maia Mirotadze

Didi Digomi, III mkr., korp. 20, b. 20, Tbilisi (GE)

**GENERATION AND SPECIES OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT'S  
 LANGUAGE AND IN LATIN:** Hazelnut Corylus pontica

**NAME OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT'S LANGUAGE:** LEGI

**BRIEF DESCRIPTION OF PLANT VARIETIES**

The variety "LEGI" is averagely growing (2,0-2,2 m.) open crown plant. It is characterized with intensive branching; it develops roots and spear cervix in a small amount. Blows from December to February. Develops male (ament) flowers with great amount and long blowing. Fruit is slightly lengthened, shaping point; cover is short than fruit, strongly crenate, after ripening the fruit is easily falls from the cover. Fruit size is 21x19x18 mm., with light brown stripes. Ripes in the end of August; Average fortress shell, thin, easily braking. Core productivity is 53%. It is relatively resistant against vermin-diseases and adverse conditions of environment. Recommended to cultivate as a pollinate varieties in the industrial regions of Imereti, Guria and Kakheti.

## ჯ ი შ ი ს ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ა

**I. კულტურა:** თხილი *Corylus pontica*  
(ქართული სახელი) (ლათინური სახელი)

### II. სელექციონერი:

ნადეჟა მიროტაძე  
თბილისი, ვაჟა-ფშაველას VI კვ. 38/11 (GE);  
იუზა ვასაძე  
თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 11 (GE);  
მაია მიროტაძე  
თბილისი, დიდი დიღომი III მ/რ, კორპ. 20, ბ. 20 (GE)

### III. ჯიშის დასახელება: ლეპი

### IV. ინფორმაცია ჯიშის ბამოფიზანის შესახებ:

ჯიში შერჩეულია იმერეთში ხალხური სელექციის შედეგად მიღებული გენოფონდიდან.

### V. ტესტირების წლები:

2004-2012 წლებში ჩატარებულია კვლევა ფერმერულ მეურნეობებში არსებულ ნარგაობებში. ბიოლოგიური, სამეურნეო-ტექნოლოგიური მახასიათებლების შეწავლის მიზნით. შიდასაინსტიტუტო სადემუსტაციო კომისიის მიერ მოწონებული იქნა და რეკომენდებულია სამრეწველოდ გაშენებისათვის.

### VI. სხვა ინფორმაცია

ჯიში „ლეგი“ მაღალი სამეურნეო-ტექნოლოგიური მაჩვენებლებით ხასიათდება და მიზანშეწონილია სამრეწველო ბალებში გაშენდეს როგორც დამამტვერიანებელი ჯიში იმერეთის, გურიის და კახეთის რეგიონში. გამძლეა მავნებელ-დაავადებების და გარემოს არახელსაყრელი პირობების მიმართ.

### VII. ჯიშის ნიშან-თვისებები

მცენარის ზრდა – საშუალო (5)  
მცენარის ჰაბიტუსი – გადაშლილი (7)  
ნაზარდის სიხშირე – ძლიერი (7)  
ამონაყარი ფესვის ყელიდან –სუსტი (3)  
ერთწლიან ნაზარდზე ფოთლების სიხშირე – ძლიერი (7)  
მამრობითი (მჭადა) ყვავილები – გრძელი (7)  
ბუტკო: ფერი – წითელი (2)  
მამრობითი ყვავილების ყვავილობის დრო – საშუალო დან საგვიანომდე (6)

- მდედრობითი ყვავილების ყვავილობის დრო – საშუალო (5)
- მდედრობითი ყვავილების ყვავილობის დროის შედარება მამრობითი ყვავილების ყვავილობის დროსთან – ერთდროულად (2)
- ფოთლის ფირფიტა: ფორმა – ოვალური (2)
- ფოთლის ფირფიტა: ზომა – საშუალო (5)
- ფოთლის ფირფიტა: შებუსვა ქვედა მხარეზე – ძლიერი (7)
- ყუნწი: სიგრძე – საშუალო (5)
- ყუნწი: შებუსულობა – საშუალო (5)
- საბურველის სიგრძის შედარება ნაყოფის სიგრძესთან – მოკლე (3)
- საბურველი: დაკბილვა – ძლიერი (7)
- საბურველი: შებუსვა – არ არის (1)
- ბუჩქი: დომინირებული ტოტების რიცხვი – 2-3 (3)
- ნაყოფი: ზომა – საშუალო (5)
- ნაყოფი: ფორმა – კონუსური (2)
- ნაყოფი: ფერი – ღია ყავისფერი (2)
- ნაჭუჭზე ზოლების რაოდენობა – ბევრი (7)
- ნაყოფი: წვერი – ძლიერ ამობურცელი (5)
- ნაყოფი: ორგულიანი – არ არის (1)
- გული: ზომა – საშუალო (5)
- გული: ფორმა – ოვალური (2)
- გული: გვერდითი ღარი – არ არის (1)
- შემოსვლის დრო – საგვიანო (7)
- საბურველის შეჭიდულობა ნაყოფზე – სუსტი (3)
- გულის გამოსავლიანობა (წონით) – მაღალი (7)
- ფოთოლცვენის დრო – ძალიან გვიან (9)

### VIII. ღამატებითი ინფორმაცია

გამძლეა გარემოს არახელსაყრელი პირობებისა და მავნებელ-დაავადებების მიმართ. ახასიათებს რეგულარული მაღალმოსავლიანობა. ნაყოფის მაღალი კვებითი ღირებულება განაპირობებს მრავალმხრივ გამოყენებას.

**IX. ჯიშის გამოყენების მიმართულება**

მიზანშეწონილია დამამტვერიანებლად სამრეწველო დანიშნულების ბაღებში იმერეთის გურიის და კახეთის რეგიონში.

**მსბავსი ჯიში და მათგან განსხვავებულობა**

მსბავსი ჯიშის დასახელება	ნიშანი რომლითაც განაცხადის ჯიში განსხვავდება მსბავსისაგან	ჯიშ-ეტალონი	
		მსბავსი ჯიში	კანდიდატი ჯიში
გულშიშველა	ამონაყარი ფესვის ყელიდან მამრობითი ყვავილების განვითარება	ძალიან ძლიერი სუსტი	ძალიან სუსტი ინტენსიური



მოწილის ნომერი:	P 2014 048 B
ბანაცხადის გამოქვეყნების ნომერი:	P 2013 073 A
ბანაცხადის ნომერი:	P 2012 073
ბანაცხადის წარდგენის თარიღი:	2013 09 13
თარიღი, საიდანაც იწყება უფლებების მოქმედება:	2014 04 28
ბანაცხადის მონაცემების გამოქვეყნების თარიღი და ბიულეტენის ნომერი (I პუბლიკაცია):	2013 11 14 №3
დარეგისტრირებული მცენარის ჯიშის გამოქვეყნების თარიღი და ბიულეტენის ნომერი (II პუბლიკაცია):	2014 04 28 №2

სელექციონერის სახელი, მისამართი და ქვეყნის კოდი:  
ნუგზარ შენგელია

1059, თბილისი, ვაშლიჯვარი, კორპ. 12ა, ბ. 19, 1059 (GE)

მცენარის ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:

ჩვეულებრივი კაკალი *Juglans regia L.*

მცენარის ახალი ჯიშის დასახელება: ნუბო

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე დასახსიათება:

ჯიში „ნუგო“ სუსტად მოზარდია, 6 წლიანი ნამყენი მცენარის სიმაღლე 2,5 მეტრია, ხოლო მოსავალი 5,5-6,0 კილოგრამი; მსხმოიარობას იწყებს დარგვიდან მეორე წელს, მსხმოიარობის ტიპი ლატერალურია; ყვავილობს აპრილის ბოლოდან, ყვავილობის ტიპი პროტერანდრიულია. ნაყოფები მწიფდება სექტემბრის მეორე ნახევრიდან. ნაყოფი საშუალო ზომის და ოვალური ფორმის, მასა – 11,8 გრ.; ნაჭუჭი თხელია 1,1 მმ. და ადვილად იმტვრევა. გული ღია ჩალისფერია, გემრიელია. გულის გამოსავლიანობა 53,5%-ია, ცხიმოვანობა – 67,9%.

მისთვის ოპტიმალურია ღრმა, ჰუმუსით მდიდარი, სუსტი ტუტე რეაქციის ნიადაგები. გაშენების ოპტიმალური სქემაა 7x5 მეტრი. საჭიროებს გასხვლას.

**NUMBER OF CERTIFICATE:** P 2014 048 B  
**NUMBER OF PUBLICATION FOR APPLICATION:** P 2013 073 A  
**SERIAL NUMBER OF APPLICATION:** P 2012 073  
**DATE OF FILING OF THE APPLICATION:** 2013 09 13  
**DATE FROM WHICH CERTIFICATE MAY HAVE RIGHT:** 2014 04 28  
**DATE OF PUBLICATION OF APPLICATION FOR PLANT VARIETIES  
AND THE NUMBER OF BULLETIN (I PUBLICATION):** 2013 11 14 №3  
**DATE OF PUBLICATION OF REGISTERED PLANT VARIETIES  
AND THE NUMBER OF BULLETIN (II PUBLICATION):** 2014 04 28 №2

**NAME, SURNAME OF BREEDER, ADDRESS AND COUNTRY CODE:**

Nugzar Shengelia

Vashlijvari, korp.12a, b.19, Tbilisi (GE)

**GENERATION AND SPECIES OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT'S  
LANGUAGE AND IN LATIN:** Walnuts Juglans regia L.

**NAME OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT'S LANGUAGE:** NUGO

**BRIEF DESCRIPTION OF PLANT VARIETIES**

The variety "NUGO" is weakly growing, height of 6 years grafted plant is 2,5 m. It begins blowing after 2 years from planting, harvest of six-year plant is 5,5-6,0 kg. Fruiting type is lateral, blowing begins in the end of April; type of flowering is proterandrie. The fruit is ripening from the second half of September. The fruits are of average size, mass 11,8 g., has oval shape. Thin shell is 1,1 mm., easily braking. Core is light straw and delicious. Core productivity is 53,5%, fatness is 67,9%. Deep, reach with humus, weak, alkali reaction soils are optimal. Optimal scheme of cultivation is 7x5 m. Needs trimming.

## ჯ ი შ ი ს ა ღ ჯ ე რ ი ლ ო ბ ა

I. კულტურა: ჩვეულებრივი კაკალი (ქართული სახელი) Juglans regia L. (ლათინური სახელი)

### II. სელექციონერი:

ნუგზარ შენგელია

1059, თბილისი, ვაშლიჯვარი, კორპ. 12ა, ბ. 19, 1059 (GE)

### III. ჯიშის დასახელება: ნუბო

### IV. ინფორმაცია ჯიშის ბამოჟვანის შესახებ:

შერჩეულია თავისუფალი დამტკერვის შედეგად მიღებული ნათესარებიდან. ჯიშის სამეურნეო-ბიოლოგიურ თავისებურებებზე დაკვირვება წარმოებდა როგორც საველე პირობებში, ასევე მებაღეობის, მევენახეობის და მეღვინეობის ინსტიტუტთან არსებულ ბიოტექნოლოგიურ ლაბორატორიაში. ჯიშის გამრავლება ხდება ჩვეულებრივ კაკლის საძირეზე მცნობით.

ჯიში „ნუგო“ სუსტად მოზარდია, 6 წლიანი ნამყენი მცენარის სიმაღლე 2,5 მეტრია. მსხმოიარობას იწყებს დარგვიდან მეორე წელს, 6 წლიანი მცენარის მოსავალი 5,5-6,0 კილოგრამია, მსხმოიარობის ტიპი ლატერალურია, ყვავილობს აპრილის ბოლოდან, ყვავილობის ტიპი პროტერანდრიულია. ნაყოფები მწიფდება სექტემბრის მეორე ნახევრიდან. ნაყოფები საშუალო ზომისაა, მასა 11,8 გრ, ოვალური ფორმის. ნაჭუჭი თხელია 1,1 მმ, ადვილად იმტვრევა. გული ღია ჩალისფერია, გემრიელია. გულის გამოსავლიანობა 53,5%-ია, ცხიმოვანობა 67,9%. ოპტიმალურია ღრმა, ჰუმუსით მდიდარი, სუსტი ტუტე რეაქციის ნიადაგები. გაშენების ოპტიმალური სქემაა 7x5 მეტრი. საჭიროებს გასხვლას.



**V. ჯიშის ნიშან-თვისებები**

№	ნიშანი	ბამონათვის ხერხი
5.1	ხის ფორმა და სიმაღლე	სპურის ტიპის, პირამიდული, 2,5 მეტრი. სუსტად მოზარდი
5.2	ყვავილობის ვადები.	აპრილის ბოლო, მაისის დასაწყისი.
5.3	ყვავილობის ტიპი	პროტერანდრიული. საჭიროებს დამამტვერიანებელს.
5.4	მსხმოიარობაში შესვლის დრო	ნამყენი მცენარე მსხმოიარობას იწყებს დარგვიდან მეორე წელს
5.5	მსხმოიარობის ტიპი	ლატერალური
5.6	მოსავლიანობა	6 წლიანი ხის მოსავალი 5,5-6,0 კგ.
5.7	მგრძობიარობა დაავადებებისადმი	საშუალოდ მგრძობიარე. საჭიროებს პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებას და ქიმიურ დაცვას.
5.8	ნაყოფები	საშუალო ზომის (4,03x3,52x3,26სმ.), მასა 11,8 გრ., ოვალური, პატარა წვერით.
5.9	ნაჭუჭი	ღია თეთრი, თხელი, 1,1 მმ., გლუვი ან სუსტად დანაოჭებული, ადვილად მტვრევადი
5.10	გული	ღია ჩალისფერი, მთლიანად ავსებს ნაჭუჭის ღრუს, გამოდის მთლიანად ან ნახევრებად. გემრიელია, გულის გამოსავლიანობა 53,5%, ცხიმოვანობა 67,9%
5.11	ნიდაგი	კარგად იზრდება ღრმა ჰუმუსით მდიდარ ნიადაგებზე. pH ნეიტრალური ან სუსტი ტუტე.
5.12	განათებულობა	სინათლის მოყვარული
5.13	დარგვა და მოვლა	ოპტიმალურია 7x5 მეტრი კვების არე. საჭიროებს გასხვლას. ორგანული და მინერალური სასუქებით გამოკვებას

**VI. მსბავსი ჯიშები და მათგან განსხვავება**

მსბავსი ჯიშის სახელი	ნიშანი, რომლითაც განიხილის ჯიში განსხვავდება მსბავსისაგან	ნიშნის ბამონათვის ხარისხი	
		მსბავსი ჯიში	კანდიდატი ჯიში
კასპურა	მსხმოიარობა	კენწრულ-გვერდითი	ლატერალური
	ზრდა	საშუალო	სუსტი

**VIII. დამატებითი ინფორმაცია:**

7.1 სხვა ჯიშებთან შედარებით ახასიათებს ადრეული სიმწიფე.

7.2. ჯიში „ნუგო“ შეიძლება გაშენდეს, როგორც ინტენსიური სამრეწველო ბაღების სახით, ისე, როგორც სუსტად მოზარდი, საკარმიდამო და კოლექტიური მებაღეობის ნაკვეთებში ზღვის დონიდან 1000-1100 მეტრი სიმაღლემდე.



მოწმობის ნომერი:	P 2014 049 B
ბანაცხადის გამოქვეყნების ნომერი:	P 2013 074 A
ბანაცხადის ნომერი:	P 2012 073
ბანაცხადის წარდგენის თარიღი:	2013 09 13
თარიღი, საიდანაც იწყება უფლებების მოქმედება:	2014 04 28
ბანაცხადის მონაცემების გამოქვეყნების თარიღი და ბიულეტენის ნომერი (I პუბლიკაცია):	2013 11 14 №3
დარეგისტრირებული მცენარის ჯიშის გამოქვეყნების თარიღი და ბიულეტენის ნომერი (II პუბლიკაცია):	2014 04 28 №2

სელექციონერის სახელი, მისამართი და ქვეყნის კოდი:  
ნუგზარ შენგელია  
1059, თბილისი, ვაშლიჯვარი, კორპ. 12ა, ბ. 19, 1059 (GE)

მცენარის ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:  
ჩვეულებრივი კაკალი *Iuglans regia* L.

მცენარის ახალი ჯიშის დასახელება: ანანო

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე დახასიათება:

ჯიში „ანანო“ სუსტად მოზარდია, 6 წლიანი ნამყენი მცენარის სიმაღლე 3,0 მეტრია. ნამყენი მცენარე მსხმოიარობას იწყებს დარგვიდან მეორე წელს, 6 წლიანი მცენარის მოსავალი 5,0-5,5 კილოგრამია, მსხმოიარობის ტიპი ლატერალურია, ყვავილობს აპრილის ბოლოდან, ყვავილობის ტიპი პროტერანდრიულია. თბილისის პირობებში ნაყოფები მწიფდება აგვისტოსა და ბოლოს სექტემბრის პირველ დეკადაში. ნაყოფი საშუალო ზომისაა, მასა 10,5 გრ., ოვალური ფორმის, მთავარი კოეფიციენტი – 0,96. ნაჭუჭი თხელია 0,7-0,8 მმ., ადვილად იმტვრევა, ზოგჯერ ჩანს ლებნები. გული მოყავისფრო ჩალისფერი, გემრიელი. გულის გამოსავლიანობა – 56,5-60%, ცხიმოვანობა – 69,5%.

მისთვის ოპტიმალურია ღრმა, ჰუმუსით მდიდარი, სუსტი ტუტე რეაქციის ნიადაგები. გაშენების ოპტიმალური სქემაა 7x5 მეტრი. საჭიროებს გასხვლას.

**NUMBER OF CERTIFICATE:** P 2014 049 B  
**NUMBER OF PUBLICATION FOR APPLICATION:** P 2013 074 A  
**SERIAL NUMBER OF APPLICATION:** P 2012 073  
**DATE OF FILING OF THE APPLICATION:** 2013 09 13  
**DATE FROM WHICH CERTIFICATE MAY HAVE RIGHT:** 2014 04 28  
**DATE OF PUBLICATION OF APPLICATION FOR PLANT VARIETIES  
AND THE NUMBER OF BULLETIN (I PUBLICATION):** 2013 11 14 №3  
**DATE OF PUBLICATION OF REGISTERED PLANT VARIETIES  
AND THE NUMBER OF BULLETIN (II PUBLICATION):** 2014 04 28 №2

**NAME, SURNAME OF BREEDER, ADDRESS AND COUNTRY CODE:**

Nugzar Shengelia

Vashlijvari, korp.12a, b.19, Tbilisi (GE)

**GENERATION AND SPECIES OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT'S LANGUAGE AND IN  
LATIN:** Walnuts Juglans regia L.

**NAME OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT'S LANGUAGE:** ANANO

**BRIEF DESCRIPTION OF PLANT VARIETIES**

The variety "ANANO" is weakly growing, height of 6 years grafted plant is 3,0 m. It begins fruiting after 2 years from planting, harvest of six-year plant is 5,0-5,5 kg. Fruiting type is lateral, blowing begins in the end of April; type of flowering is proterandrie. In Tbilisi condition the fruit is ripening in the end of August, first decade of September. The fruits are of average size, mass is 10,5 g., has oval shape. The main coefficient is 0,96. Thin shell is 0,7-0,8 mm., easily braking. Sometimes the core appears. Core brownish-straw-colored and delicious. Core productivity is 56,5-60%, fatness is 69,5%. Deep, reach with humus, weak, alkali reaction soils are optimal. Optimal scheme of cultivation is 7x5 m. Needs trimming.

**ჯ ი შ ი ს ა ღ ჯ ე რ ი ლ ო ბ ა**

**I. კულტურა:** ჩვეულებრივი კაკალი *Juglans regia L.*  
(ქართული სახელი) (ლათინური სახელი)

**II. სელექციონერი:**

ნუგზარ შენგელია  
1059, თბილისი, ვაშლიჯვარი, კორპ. 12ა, ბ. 19, 1059 (GE)

**III. ჯიშის დასახელება:** „ანანო“

**IV. ინფორმაცია ჯიშის გამომავლის შესახებ:**

შერჩეულია თავისუფალი დამტვერვის შედეგად მიღებული ნათესარებიდან. ჯიშის სამეურნეო-ბიოლოგიურ თავისებურებებზე დაკვირვება წარმოებდა, როგორც საველე პირობებში, ასევე მებაღეობის, მევენახეობის და მეღვინეობის ინსტიტუტთან არსებულ ბიოტექნოლოგიურ ლაბორატორიაში. ჯიშის გამრავლება ხდება ჩვეულებრივ კაკლის საძირეზე მყნობით.

ჯიში „ანანო“ სუსტად მოზარდია, 6 წლიანი ნამყენი მცენარის სიმაღლე 3,0 მ-ია. ნამყენი მცენარე მსხმოიარობას იწყებს დარგვიდან მეორე წელს, 6 წლიანი მცენარის მოსავალი 5,0-5,5 კგ., მსხმოიარობის ტიპი ლატერალურია, ყვავილობს აპრილის ბოლოდან, ყვავილობის ტიპი პროტერანდრიულია. თბილისის პირობებში ნაყოფები მწიფდება აგვისტოს ბოლოს სექტემბრის პირველ დეკადაში. ნაყოფები საშუალო ზომისაა, მასა 10,5 გრ., ოვალური ფორმის, მთავარი კოეფიციენტი 0,96. ნაჭუჭი თხელია 0,7-0,8 მმ., ადვილად იმტვრევა, ზოგჯერ ჩანს ლებნები. გული მოყავისფრო - ჩალისფერი, გემრიელი. გულის გამოსავლიანობა 56,5 – 60%, ცხიმოვანობა 69,5%.

ოპტიმალურია ღრმა, ჰუმუსით მდიდარი, სუსტი ტუტე რეაქციის ნიადაგები. გაშენების ოპტიმალური სქემაა 7x5 მეტრი. საჭიროებს გასხვლას.

V. ჰიშის ნიშან-თვისებები

№	ნიშანი	ბამონატვის ხერხი
1	2	3
5.1	ხის ფორმა და სიმაღლე	პირამიდული, 3,0 მეტრი. სუსტად მოზარდი
5.2	ყვავილობის ვადები.	აპრილის ბოლო.
5.3	ყვავილობის ტიპი	პროტერანდრიული. საჭიროებს დამამტვერიანებელს.
5.4	მსხმოიარობაში შესვლის დრო	ნამყენი მცენარე მსხმოიარობას იწყებს დარგვიდან მეორე წელს
5.5	მსხმოიარობის ტიპი	ლატერალური
5.6	მოსავლიანობა	6 წლიანი ხის მოსავალი 5,0-5,5 კგ.
5.7	მგრძობიარობა დაავადებებისადმი	საშუალოდ მგრძობიარე. საჭიროებს პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებას და ქიმიურ დაცვას.
5.8	ნაყოფები	საშუალო ზომის (3,3x3,3x3,1სმ.), მასა 10,5 გრ., ოვალური. მთავარი კოეფიციენტი 0,96.
5.9	ნაჭუჭი	ღია ჩალისფერი, თხელი, 0,7-0,8 მმ., გლუვი ან სუსტად დანაოჭებული, ადვილად მტვრევადი. ზოგჯერ ჩანს ლებნები.
5.10	გული	მოყავისფრო _ ჩალისფერი, მთლიანად ავსებს ნაჭუჭის ღრუს, გამოდის მთლიანად ან ნახევრებად. გემრიელი, გულის გამოსავლიანობა 56,5-60%, ცხიმინობა 69,5%
5.11	ნიდაგი	კარგად იზრდება ღრმა ჰუმუსით მდიდარ ნიადაგებზე. pH ნეიტრალური ან სუსტი ტუტე.
5.12	განათებულობა	სინათლის მოყვარული
5.13	დარგვა და მოვლა	ოპტიმალურია 7x5 მეტრი კვების არე. საჭიროებს გასხვლას. ორგანული და მინერალური სასუქებით გამოკვებას

**VI. მსბავსი ჯიშები და მათგან განსხვავება**

მსბავსი ჯიშის სახელი	ნიშანი, რომლითაც განაცხადის ჯიშის განსხვავდება მსბავსისაგან	ნიშნის გამონათქვამის ხარისხი	
		მსბავსი ჯიშის	კანდიდატი ჯიშის
კასპურა	მსხმოიარობა	კენწრულ- გვერდითი	ლატერალური
	ზრდა	საშულო	სუსტი

**VIII. დამატებითი ინფორმაცია:**

- 7.1. სხვა ჯიშებთან შედარებით ახასიათებს ადრეული სიმწიფე. საჭიროებს მოსავლის ადრეულ ვადებში აღებას.
- 7.2. ჯიშის „ანანო“ შეიძლება გაშენდეს, როგორც ინტენსიური სამრეწველო ბაღების სახით, ისე, როგორც სუსტად მოზარდი, საკარმიდამო და კოლექციური მებაღეობის ნაკვეთებში ზღვის დონიდან 1000-1100 მეტრი სიმაღლეზე.





მოწმობის ნომერი:	P 2014 050 B
ბანაცხადის გამოქვეყნების ნომერი:	P 2013 079 A
ბანაცხადის ნომერი:	P 2013 079
ბანაცხადის წარდგენის თარიღი:	2013 11 18
თარიღი, საიდანაც იწყება უფლებების მოქმედება:	2014 04 28
ბანაცხადის მონაცემების გამოქვეყნების თარიღი და ბიულეტენის ნომერი (I პუბლიკაცია):	2013 12 30 №4
დარეგისტრირებული მცენარის ჯიშის გამოქვეყნების თარიღი და ბიულეტენის ნომერი (II პუბლიკაცია):	2014 04 28 №2

სელექციონერის სახელი, მისამართი და ქვეყნის კოდი:

საატენ იუნიონი GmbH  
აიზენშტრასე 12, 30916 იზერნჰაგენ HB (DE)

მცენარის ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:

შვრია Avena sativa L.

მცენარის ახალი ჯიშის დასახელება: აივორი

მცენარის ახალი ჯიშის მოკლე დახასიათება:

საგაზაფხულო შვრია „აივორი“ (უმაღლესი დაფქვის ხარისხი) (ბოტანიკური ტაქსონი: Avena sativa L.), რომელიც ფართოდ გავრცელებულია გერმანიაში, როგორც თეთრ-ნაჭუჭიანი შვრიის ჯიში. სელექციონერი არის ნორდსაატ ზააცუჰტ გმბჰ. „აივორი“ გამოყვანილია ორი ჯიშის შეჯვარებით („ნორდ 950“ X „გრამენა“). ჯიშს გააჩნია მაღალი და სტაბილური მოსავლიანობა და მაღალი ხარისხის გამძლეობა მსოფლიოს მასშტაბით სხვადასხვა კლიმატური რეგიონებისადმი. მომგებიანია როგორც მცხოვრებისათვის, ისე ფერმერებისათვის. „აივორი“ სწრაფად განვითარებადი, გაღვივებისას კომბინირებულია სწრაფად შევსებადი მარცვლის, ადრეული საგველას აღმოცენებისა და დამწიფების მიმართ. გამძლეა გვალვისადმი, სადაც კონტინენტური ზრდის პირობები მაღალია. ჯიშს გააჩნია საშუალო სიმაღლის და საშუალოდ მაღლისაკენ ცვენისადმი გამძლეობა. იგი რეზისტენტულია საშუალოდ მაღლისაკენ დაავადებებისადმი, როგორცაა გვირგვინას ჟანგი და ჰელმინთოსპორიუმი. „აივორი“ მარტივად ითესება ორგანული პროდუქტების წარმოების მეურნეობაში. ჯიში ხასიათდება საუკეთესო მარცვლეულის ხარისხით, რომელიც გამოსადეგია საკვებად. ბევრი ევროპელი შვრიის გადამამუშავებელი ირჩევს აღნიშნულ ჯიშს მისი ხარისხის გამო. თესვის დრო და რაოდენობა ადგილობრივად უნდა იქნას მორგებული.

„აივორი“ რეგისტრირებულია და შეტანილია მცენარეთა ჯიშების ნაციონალურ რეესტრში გერმანიაში, რუსეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში, ფინეთში, ლიტვაში, ლატვიაში, ესპანეთსა და ლუქსემბურგში. დამატებით, ის არის ევრო გაერთიანების ბაზარზე გატანილი შედეგთში, დანიაში, ნორვეგიაში, პოლონეთსა და ახლახან კოლანდიაში. მთელ ევროკავშირის ზონაში „აივორი“ დაცულია მცენარეთა ჯიშების კავშირის ოფისის მიერ (CPVO).

<b>NUMBER OF CERTIFICATE:</b>	P 2014 050 B
<b>NUMBER OF PUBLICATION FOR APPLICATION:</b>	P 2013 079 A
<b>SERIAL NUMBER OF APPLICATION:</b>	P 2013 079
<b>DATE OF FILING OF THE APPLICATION:</b>	2013 11 18
<b>DATE FROM WHICH CERTIFICATE MAY HAVE RIGHT:</b>	2014 04 28
<b>DATE OF PUBLICATION OF APPLICATION FOR PLANT VARIETIES AND THE NUMBER OF BULLETIN (I PUBLICATION):</b>	2013 12 30 №4
<b>DATE OF PUBLICATION OF REGISTERED PLANT VARIETIES AND THE NUMBER OF BULLETIN (II PUBLICATION):</b>	2014 04 28 №2

**NAME, SURNAME OF BREEDER, ADDRESS AND COUNTRY CODE:**

SAATEN UNION GmbH  
Eisenstrabe 12,30916 Isernhagen HB (DE)

**GENERATION AND SPECIES OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT'S LANGUAGE AND IN LATIN:** Spring Oat Avena sativa L.

**NAME OF PLANT VARIETIES IN THE APPLICANT'S LANGUAGE:** IVORY

**BRIEF DESCRIPTION OF PLANT VARIETIES**

Spring oat "IVORY" (Superior Milling Quality) (botanical taxon is Avena sativa L.) is a widely distributed white-hulled oat variety from Germany. The breeder is Nordsaat Saatzucht GmbH. "IVORY" comes from conventional pedigree breeding (cross NORD 950 x Gramena) The variety has a high and stable yield as well as quality potential over many different climatic regions world wide. It is profitable for both oat millers and farmers. "IVORY" has a quick development after sprouting combined with fast grain filling as well as early panicle emergence and ripening. So, its drought tolerance at continental growing conditions is high. The variety has medium height and medium to high lodging resistance. Its resistance to mildew, crown rust and Hlelminthosporium is medium to high "IVORY" is well suited to low input cropping like organic farming. The variety is characterized by an outstanding grain quality level for food and feed. Many oat processors in Europe and abroad prefer its quality profile to be produced at contract cropping. Sowinrg time and quantity should be locally adapted.

"IVORY" is registered at the National Plant Variety Lists in Germany, Russia, Ukraine, Belarus, Finland, Lithuania, Latvia, Estonia and Luxemburg. Additionally. it is marketed via EU Plant Variety List in Swede, Denmark, Norway, Poland and the Netherlands presently. In the whole area of the European Union "IVORY" is protected by the Community Plant Variety Office (CPVO).

**ჯ ი შ ი ს ა ღ ვ ე რ ი ლ ო ბ ა**

**I. კულტურა:** შერია *Avena sativa L.*  
(ქართული სახელი) (ლათინური სახელი)

**II. სელექციონერი:** საატენ იუნიონი GmbH  
აიზენშტრასე 12, 30916 იზერნჰაგენ HB (DE)

**სასელექციო ნომერი:** NORD 91 G 268

**III. ჯიშის დასახელება:** აივორი

**IV. ინფორმაცია ჯიშის გამოყვანის შესახებ:**

უფლებამოსილი პირის ნომერი: 10CC79038

ნაციონალური ტესტის გზამკვლევის თარიღი და დოკუმენტის ნომერი:  
ოქტომბერი, 1996

UPOV-ის გზამკვლევის ნომერი და თარიღი: 1994-10-01 TG/20/10

ტესტირების ადგილი: რეთმარი

გამოცდის პერიოდი: 2001-2003

დოკუმენტის გაცემის თარიღი და ადგილი: 27.10.2003 - ჰანოვერი

**IV.I. წარმოშობა**

საგაზაფხულო შერის ახალი ჯიში „აივორი“ გამოყვანილია გერმანიაში. მისი ეროვნული გამოცდა მიმდინარეობდა ქალაქ რეთმარში 2001-2003 წლებში CPVO 1994-10-01 TG/20/10 დოკუმენტის თანახმად.

**V. ჯიშის მახასიათებლები**

UPOV ნომერი	ნიშანი	გამოხატვის ხარისხი	ინდექსი	შენიშვნა
1	2	3	4	5
1	მცენარე: ზრდის ტიპი	საშუალოდან ნახევრად გართხმულამდე	6	
2	დაბალი ფოთლები: გარსის შებუსვა	არ არის ან ძალიან სუსტი	1	
3	ფოთლის ზედაპირი: ჩაღუნული ფოთლის ქვემოთ ფოთლის კიდეების შებუსვა	არ არის ან ძალიან სუსტი	1	
4	მცენარე: სისწორე გადახრილ ფოთლებთან მიმართებაში	ძალიან მაღალი	9	

1	2	3	4	5
5	საგველას გამოჩენის დრო	ადრეულიდან საშუალომდე	4	
6	დერო: უმაღლესი კვანძის შებუსვა	არ არის	1	5
7	დერო: უმაღლესი კვანძის შებუსვის ინტენსიურობა	-	-	არ მიესადა- გება
8	საგველა(ყვაგილედის ტიპი): დატოტვის ორიენტაცია	ტოლგვერდა	3	
9	საგველა: დატოტვის დამოკიდებულება	ჰორიზონტალურიდან ჩაშვებამდე	6	
10	საგველა: წვეტისადმი დამოკიდებულება	ჩამოკიდებული	2	
11	ბაზალური თანაყვაგილელი: ცვილილისებრი დაფარვა	სუსტიდან საშუალომდე	4	
12	ბაზალური თანაყვაგილელი: სიგრძე	საშუალოდან გრძელი	6	
13	პირველადი მარცვალი: გარე ან ქვედა თანაყვაგილედის ცვილილისებრი დაფარვა	არ არის	9	
14	პირველადი მარცვალი: გარე ან ქვედა თანაყვაგილედის ცვილილისებრი დაფარვის ინტენსიურობა	სუსტი	3	
15	მცენარე: სიგრძე	საშუალოდან გრძელი	6	
16	ყვაგილედის ტიპი: სიგრძე	საშუალო	5	
17	მარცვალი: გამომარცვლა	არ არის	9	
18	პირველადი მარცვალი: თავთავის ფხის ტენდენციურობა	არ არსებობს ან ძალიან სუსტია	1	

1	2	3	4	5
19	პირველადი მარცვალი: გარე ან ქვედა თანაყვავილედის სიგრძე	საშუალოდან გრძელი	6	
20	მარცვალი: გარე ან ქვედა თანაყვავილედის შეფერილობა	თეთრი	1	
21	პირველადი მარცვალი: ქვედა თანაყვავილედის შებუსვა	-	-	არ მიესადაგება
22	პირველადი მარცვალი: ფუძის შებუსვა	ძალიან სუსტიდან სუსტი	2	
23	პირველადი მარცვალი: ფუძის შებუსვის სიგრძე	მოკლედან საშუალომდე	4	
24	პირველადი მარცვალი: პატარა ღერძის სიგრძე	საშუალო	5	

**VI. მსგავსი ჯიშები და მათგან განსხვავება**

მსგავსი ჯიშის სახელი	ნიშანი, რომლითაც განაცხადის ჯიშით განსხვავდება მსგავსისაგან	ნიშნის გამოხატვის ხარისხი	
		მსგავსი ჯიშით	კანდიდატი ჯიშით
ფლამინგსტრენდ (HA 1154)	5. ყვავილედის ტიპის აღმოცენება	საშუალო	ადრეულიდან საშუალომდე
	20. მარცვალი: გარე ან ქვედა თანაყვავილედის შეფერილობა	ყვითელი	თეთრი

## VII. სხვა ინფორმაცია

## პროტეინის მახასიათებლების აღწერილობა

№	მახასიათებლები	ბამონატვის ხარისხი	ინდექსი
1	ავენინის შემადგენლობა	განმასხვავებელი ვიწრო ზოლები 65+70+77+79+83+85+95	19
2	HMW - ავენინის შემადგენლობა	განმასხვავებელი ვიწრო ზოლები 30+36	1
3	პეროქსიდაზის შემადგენლობა: გენების რიგის კონკრეტული ქრომოსომების გამოხატვა მოცემულ გენტან მიმართუ- ბაში Prx 1	განმასხვავებელი ვიწრო ზოლი 7,25	4
4	პეროქსიდაზის შემადგენლობა: გენების რიგის კონკრეტული ქრომოსომების გამოხატვა მოცემულ გენტან მიმართებაში Prx 2	არ არის	1





მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის  
ოფიციალური ბიულეტენი

OFFICIAL BULLETIN FOR PROTECTION OF NEW PLANT VARIETIES AND  
ANIMAL BREEDS

№ 2(19)

ბიულეტენის ელექტრონული ვერსიის გაცნობა შესაძლებელია საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საკპატენტის“ ვებგვერდზე.

The review of the published E-version of the bulletin is possible at the Georgian ip national center “Sakpatenti” website.

შენიშვნა  
NOTICE

ბიულეტენში გამოქვეყნებული ობიექტების ზუსტი გამოსახულებები იხილეთ საკპატენტის ვებგვერდზე განთავსებულ ელექტრონულ ვერსიაში.

The exact images of the published objects can be viewed in the E-version of Sakpatenti website.

პასუხისმგებელი გამომცემი: RESPONSIBLE ON PUBLICATION:	ნ. ფანცხავა N. Pantskhava
მთავარი რედაქტორი: EDITOR-IN-CHIEF:	ნ. ბებრიშვილი N. Bebrishvili
დამკაბადონებელი: MAKER-UP:	ქ. სვანიძე K. Svanidze
პოლიგრაფიული ჯგუფი: POLYGRAPHIC GROUP:	მ. მეჩითიშვილი M. Mechitishvili ი. გოგოლაშვილი I. Gogolashvili ლ. დოლიძე L. Dolidze

ხელმოწერილია გამოსაცემად: 2014 04 25  
Signed for Publication on:  
ტირაჟი: 30  
Print Run:  
შეკვეთა №2  
Order